



საპარლამენტო პარლამენტი

# ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8  
ტელ: (995 32) 28 17 08  
ტელ/ფაქსი: (995 32) 28 13 49  
ელ. ფოსტა: europa@parliament.ge

№ 9161/4-7

03 09 2010წ.

- ქ-ნ თამარ ხიდაშელს,
- ✓ ქ-ნ ნინა ხატისკაცს,
- ბ-ნ ლევან დოლიძეს,

2 სექტემბერი, 2010 წელი

გიხდით მადლობას ჩემს სახელზე გამოგზავნილი, 2010 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული წერილისათვის, რომელიც შეიცავს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საჯარო განხილვების გადადების თხოვნას. თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოებისათვის უცნობი რჩება, თუ რატომ არ გაიზიარა საკონსტიტუციო კომისიამ იმ მოსაზრებათა ნაწილი, რომელიც სხვადასხვა არასამთავრობო თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ თქვენ არ მოგწონთ კომისიის მიერ შეკერებული მოდელი და სურვილი გაქვთ, განხილვების პროცესში მის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას მიაღწიოთ.

მე მხოლოდ ვარაუდი შემიძლია გამოვთქვა, თუ როგორი კონსტიტუციური მოდელი დააკმაყოფილებდა თქვენს მოლოდინებს, რადგან მედიის საშუალებით ან სხვაგვარად, უშუალოდ თქვენი კონკრეტული მოსაზრებებისათვის თვალი არ მიმიდევნებია. მაგრამ გარწმუნებთ, რომ დაინტერესებული საზოგადოებისათვის თვეების განმავლობაში იყო შესაძლებელი, მოესმინა და შეედარებინა ყველა მეტნაკლებად ჩამოყალიბებული პოზიცია ქვეყნის სამომავლო კონსტიტუციური მოწყობის შესახებ. დამერთანხმებით ალბათ, რომ არც სახელმწიფო კომისიის მუშაობა (რომლის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც არიან) მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა. შესაბამისად, საჯარო განხილვები ივლისის ბოლოს კი არ დაწყებულა – ივლისის ბოლოს იგი ერთერთ დამამთავრებელ, მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრულ ფაზაში შევიდა.

მეტიც, განხილვები კიდევ გაგრძელდება სექტემბრის განმავლობაში. პარლამენტში ამ პროცესის გადატანა ასევე იქნება უზრუნველყოფილი სრული გამჭვირვალებით. თქვენ კიდევ ერთხელ მოგეცემათ შესაძლებლობა, წარმოადგინოთ თქვენი არგუმენტები როგორც საკონსტიტუციო კომისიის, ისე პროექტის საჯარო განხილვების საორგანიზაციო კომისიის და პარლამენტარების წინაშე. თუ მიგაჩნიათ, რომ ეს ორი კომისია კანონის დაცვითაა შექმნილი და პარლამენტიც საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენს, ამ პროცესმა,

რომელსაც მედია უზრუნველყოფაც არ მოაკლდება, არ უნდა დატოვოს თქვენში უკმარისობისა თუ არალეგიტიმურობის განცდა.

მაგრამ თუ ასე არ თვლით, ანუ მიიჩნევთ, რომ ჩვენ, პარლამენტარები, ისევე როგორც პირველი ან მეორე კომისიის წევრები კანონის მოთხოვნებს თუ საზოგადოების მოლოდინებს არ ვაკმაყოფილებთ, რომ არც საერთაშორისო განხილვებს (რომელშიც, ჩემი ინფორმაციით, ქალბატონი თამარ ხიდაშელიც მონაწილეობდა) ქონდა დამატებითი მალეგეტიმიზირებელი ეფექტი, ან თუ მიიჩნევთ, რომ მხოლოდ თქვენი ან თქვენი სიმპათიის მქონე პოლიტიკური ძალის მოსაზრებებია ღირებული და მათი გათვალისწინება უპირობოდ უნდა ხდებოდეს, მაშინ ჩვენ ვერც პროცესზე თუ მის ჩარჩოზე შევთანხმდებით, ვერც შინაარსზე.

რაც შეეხება ახალი რედაქციის პროექტის შინაარსს, მის ძირითად დებულებებს – იგი საფუძვლად მიიღო სახელმწიფო კომისიამ და არა მგონია, სამართლიანი ან თუნდაც სამართლებრივი იყოს ამ დებულებათა ძირეული შეცვლა. არაერთხელ ითქვა ისიც, რომ საგარეო გამოწვევების და ქვეყნის მოდერნიზაციის სირთულეების ფონზე, კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი შეიცავს არასტაბილური მთავრობების დაუსრულებელი რიგის გაჩენის და რეფორმების შეფერხების რისკს. ეს წმინდა წყლის პოლიტიკური და პოლიტიკის თეორიის არგუმენტია. მესმის, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკის თეორიას და პრაქტიკას არ იცნობს თუ არ ცნობს. მაგრამ ამით რეალობა არ იცვლება – პოლიტიკას ნამდვილად აქვს თავისი მიზანშეწონილობის ზღვრები, რომელნიც მუშაობს ცალკეული პოლიტიკოსების თუ სამოქალაქო აქტივისტების გემოვნების მიუხედავად.


სწორედ ამ მიზანშეწონილობის – კერძოდ ქვეყნის სწრაფი მოდერნიზაციის აუცილებლობის შედეგი იყო 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთაც თქვენ კონტექსტიდან, ქვეყნის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანებიდან მოწყვეტით განიხილავთ. დღევანდელი პროექტი კი ახალი ვითარების – უკვე განხორციელებული და ჯერაც გადასაწყვეტი ამოცანების შესაბამისია. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზრუნველყოფს მეტ ჩართულობას, პარლამენტის/პარტიების როლის ზრდას მთავრობის ფორმირებაში და მთავრობის მეტ ავტონომიურობას. მაგრამ არანაკლები აუცილებლობაა მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტის, როგორც არბიტრის ინსტიტუტი. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციური მოდელი თვითმიზანი კი არაა, ამა თუ იმ ზოგადი სახელმძღვანელოდან ამოზრდილი, არამედ დროისა და საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების (უსაფრთხოება, ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ა.შ.) შესრულების მექანიზმი. მგონია, ეს არგუმენტები ხშირად ისმოდა ოპონენტთა გასაგონად, თქვენ კი მაინც ამბობთ, რომ „დღემდე უცნობია ქვეყანაში მოქმედი გავლენიანი პოლიტიკური სპექტრის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების გაუთვალისწინებლობის საფუძველი“. (ახლა აღარ განვიხილავ, ვის გულისხმობთ „გავლენიან“ სპექტრში ან, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციებში, რადგან ეს ორივე უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე თვენი წინადადებიდან ჩანს).

თუ თქვენი მოსაზრებები არსებული მოდელის ფარგლებიდან არ გადის და ეხება ნორმატიული კანონის ბედს, მთავრობის უნდობლობის ვოტუმის პროცედურას თუ რიგ სხვა კონკრეტულ საკითხებს, რომელნიც გამოითქმის ხოლმე საჯარო განხილვებისას (თქვენგან განსხვავებით, ჩვენ, საორგანიზაციო კომისიის წევრებს, გვიწევს ასეთ

განხილვებზე სიარული და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეხვედრა აგვისტოში შედგა, ხალხის ნაკლებობას ვერ ვგრძნობდით), სავსებით ლეგიტიმურია მათზე დავა და ვიკამათოთ საჯაროდ კიდევ რამოდენიმე კვირის განმავლობაში. რატომ არ უნდა იყოს ეს საკმარისი?

და ბოლოს, რას იძლევა 2011 წლისათვის ყოველივეს გადადება? პროცესი წელიწადზე მეტია მიდის და, თანაც, თქვენივე მონაწილეობით. ამოცანაა, რომ სისტემა გარდაიქმნას – გახდეს უფრო ინსტიტუტებზე და არა პიროვნებებზე ორიენტირებული, რაც დემოკრატიული პროცესის შეუქცევადობის ერთერთი გარანტია. ასევე, სტაბილურობას სჭირდება, რომ საზოგადოებას არ ქონდეს დაუსრულებელი მოლოდინი და გაურკვეველობა მმართველობის მოდელზე. ანუ, კმაყოფილდება ლეგიტიმურობის მოთხოვნაც (განხილვები აგვისტომდეც და აგვისტოს მერეც) და სტაბილურობა–წინასწარმეტყველებადობის მოთხოვნაც. იმედია, 2011 წლამდე პროცესის შეჩერების სურვილი გაუგებრობაა ან თქვენი ორგანიზაციებისათვის დამატებითი როლის მინიჭების ინტერესიდან მომდინარეობს. ეს გასაგებია, მაგრამ არა მგონია, საკმარისი არგუმენტი იყოს. ამ თუ სხვა საკითხებზე თანამშრომლობისა თუ ურთიერთოპონირებისათვის სხვა მრავალი საშუალებაც გაგვაჩნია.

პატივისცემით,



დავით დარჩიაშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე